განკარგულება:**g-81. 8123095001**
თარიღი:**05/04/2023**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №23

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. მოწონებული იქნას ცაგერის მუნიციპალიტეტში 2023 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებებლი შემდეგი პროექტები:

1. სოფელ ლასურიაშში რკ/ბეტონის გზის საფარის მოწყობა.

2. სოფელ ჩხუტელში „კლდისძირის უბანში“ ე.წ. ,,ლომის წყლიდან“ ფოჩხიძეების უბნის მიმართულებით 600 გრძ/მ ბეტონის საფარის მოწყობა.

3. სოფელ წიფერჩის ორი უბანი რკ/ბეტონის გზის საფარის მოწყობა.

4. სოფელ ლაჯანაში სასაფლაოს მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.

5. ქ. ცაგერში აღმაშენებლის და 9 აპრილის ქუჩების გადაკვეთის მიმდებარედ სკვერის მოწყობა.

6. სოფელ ქვედა და ზედა ლუხვანოს რკ/ბეტონის გზის საფარის მოწყობა.

7. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ისუნდერი-მახურას მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.

მუხლი 2. ნება დაერთოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების განხორციელების შესახებ წინადადება წარადგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

მუხლი 3. დაევალოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს 2023 წლის ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან განახორციელოს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების სახელმწიფო შესყიდვები.

მუხლი 4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რეზო ხეცურიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი